18/04/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იორდანიის სენატის პრეზიდენტს შეხვდა

ა.წ. 17 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ იორდანიის სენატის პრეზიდენტს, ბ-ნ ფეისალ ალ-ფაიეზის და მის თანმხლებ პირებს უმასპინძლა. საქართველოს მთავრობის მხრიდან მიღებას ესწრებოდნენ პარლამენტის დეპუტატი ბ-ნი ზაქარია ქუცნაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში ბ-ნი ზაზა კანდელაკი.

შეხვედრაზე ითქვა საქართველოსა და იორდანიას შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების საჭიროებაზე, ასევე განხილულ იქნა მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები.

იორდანიის სენატის პრეზიდენტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იორდანიის მეფის მოკითხვა გადასცა.

მისმა უწმინდესობამ გაიხსენა თავისი ვიზიტი იორდანიაში და შეხვედრა მის

უდიდებულესობა იორდანიის მეფე აბდულა II-სთან. მან იორდანიის სენატის პრეზიდენტს მეფისთვის საჩუქარი გადასცა და საქართველოში მოიწვია.

— patriarchate.ge